უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №16

ქ. თბილისი **24.09.2018**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი:
დავით თვალთვაძე - რექტორი;
პანტელეიმონ კლდიაშვილი - საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეკანი;
ნიკოლოზ ჩიხლაძე - პროფესორი;
ლაშა ლაღიძე - უნივერსიტეტის პარტნიორი;
ლელა ქელბაქიანი - უნივერსიტეტის პარტნიორი.

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ირმა შიოშვილი - უნივერსიტეტის რექტორი;
ნუნუ გელდიაშვილი - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
თამარ ასლანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
თარაშ გიორგაძე - IT სამსახურის უფროსი;
მანანა კევლიშვილი - აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
ნინო მოდებაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი;
თენგიზ სიმაშვილი - კავკასიური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი;
ნანა ყარაულაშვილი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
ნინო კახაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

1. **შპს ქუთაისის უნივერსიტეტი:**

ეკატერინე აზარაშვილი;
თინათინ პავლიაშვილი;
თეა კასრაძე;
ეკა გეგეშიძე.

2. **სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

ნათია ანდღულაძე;
ირაკლი ხვთისიაშვილი;
ეკატერინე ბაკარაძე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ბოტკოველი;
მარინა გედევანიშვილი;
ხათუნა წერეთელი.

სხვა დამსწრე პირები:
შორენა ჯაფარიძე
შორენა ხუბუნაია

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:07 საათზე.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციი დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმა, სხდომას უხელმძღვანელა თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, ვინაიდან საბჭო განიხილავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხებსაც, ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ორი პირი - შორენა ხუბუნაია და შორენა ჯაფარიძე. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ანკა პრისაკარიუმ და ადგილობრივმა ექსპერტებმა ეკატერინე აზარაშვილმა, თეა კასრაძემ, თინათინ პავლიაშვილმა და ეკა გეგეშიძემ. ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- შესწორდეს მისიის განაცხადის ფორმატი ისე, რომ მისია იყოს ლაკონური, კონკრეტული, ითვალისწინებდეს უნივერსიტეტის გამორჩეულ/უნიკალურ ასპექტებს, იყოს რეალისტური და მომავალზე ორიენტირებული;
- მისიის განაცხადმა უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტის როლი ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე;
- საჭიროა გაიზარდოს დაწესებულების მისიის გავრცელება და გაზიარება აკადემიურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სტუდენტებში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა შენარჩუნდეს, როგორც მმართველი ინსტრუმენტები თავიანთი სახელწოდებების შესაბამისად ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს მიზანს: სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებას, მიზნებსა და ამოცანებს, მაშინ როცა, სამოქმედო გეგმა დეტალურად განსაზღვრავს ყველა იმ ქმედებას, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სტრატეგიული გეგმისა და ამოცანის მისაღწევად;
- საჭიროა მოხდეს სტრატეგიის მკაფიო პრიორიტიზირება, რომელიც მუდმივად ყურადღების ქვეშაა, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე თითოეული ქმედებისთვის ვადების გამოყოფის თვალსაზრისით;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის მიღწევების მონიტორინგისა და ანგარიშგების ეფექტურობა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების წარმომადგენლობა, როგორც სტრატეგიულ, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ, საკონსულტაციო და აღმასრულებელ ორგანოებში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. არჩევნების ორგანიზება უნდა მოხდეს დამოუკიდებლად, ღიად და დემოკრატიულად, არ შეიზღუდოს სტუდენტების ხმის მიცემისა და მათი არჩევის უფლება, განურჩევლად მათი აკადემიური მოსწრებისა;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს უმაღლესი მმართველი სტრუქტურების ეფექტურობის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება;
- საჭიროა გადაიხედოს ორგანიზაციული სტრუქტურა ტოპ მენეჯმენტის, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ოპტიმიზაციის გათვალისწინებით;

- საჭიროა ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ გაწერა იმისათვის, რომ მათ შეძლონ თავიანთი ფუნქციების ეფექტურად და კოორდინირებულად შესრულება;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ორგანიზაციის სტრუქტურებში პოზიციები დაიკავონ იმ პირებმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც საშუალებას მისცემს მათ ეფექტურად პროფესიონალურად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები;
- საჭიროა დამკვიდრდეს და განხორციელდეს შიდა პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროცედურების განახლების პროცესი.უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ცნობილი იყოს, სულ მცირე, იმ ადამიანებისთვის, რომელთა საქმიანობაც უნდა მომდინარეობდეს და იმართებოდეს აღნიშნული დოკუმენტით. საუკეთესო შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტი უნდა შემუშავდეს სიღრმისეული საკონსულტაციო პროცესების გზით;
- თვითშეფასების პროცესი საჭიროა, რომ გახდეს ოფიციალური და ჩატარდეს რეგულარულად, ასევე, განხორციელდეს ანგარიშების წარმოება, რათა დაწესებულებას მიეცეს საშუალება გავლენა მოახდინოს თავისივე საქმიანობის ხარისხზე.
- საჭიროა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანებისა და მოვალეობების გადასინჯვა, რათა ზოგიერთი მისი პასუხისმგებლობა უფრო შესაბამის ერთეულებს გადაეცეს;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ მონაცემთა/უკუკავშირის შეგროვებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები ვარგისი იყოს მიზნის მისაღწევად, მომხმარებელზე ორიენტირებული, ყოვლისმომცველი (სტუდენტის დონისა და აკადემიური მოსწრების კუთხით დისკრიმინაციის გარეშე) და მოიცავდეს სტუდენტებისა და პერსონალისთვის საინტერესო ყველა საკითხსა და სფეროს;
- საჭიროა შემუშავდეს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ისე, რომ იყოს ცენტრალიზებული ფორმალური, მკაფიო, თანმიმდევრული, რეგულარული და წარმართოს უწყვეტ რეჟიმში;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ დაწესებულების ხარისხიანი მუშაობისთვის გამოყოფილი ადამიანური რესურსები კვალიფიციურები და კომპეტენტურები არიან თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად;
- საჭიროა დაწესებულებამ განახორციელოს ინტეგრირებული მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რათა გააძლიეროთ ხარისხი, გახადოთ ის მზა და ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად;
- მიზანშეწონილია განხორციელდეს პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემის ნათლად განმარტება, ცენტრალიზება და გავრცელება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში საჭიროა გაზარდოს სტუდენტთა მონაწილეობა;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოკითხვების რეგულარულობა, განხორციელებისთვის პლატფორმის თანმიმდევრულობა და შედეგების გამჭვირვალეობა;
- დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გადახედვა და მონაცემთა შედარების დაცვა უნდა გახადოს სტანდარტად;
- უკეთესად არის გასავრცელებელი შესაბამისი რეგულაციები ეთიკასთან დაკავშირებით, რათა ისინი გახდეს უფრო ხელმისაწვდომი აკადემიური საზოგადოებისთვის;
- დაწესებულებამ უნდა განავითაროს ეფექტური მექანიზმი პლაგიატისა და ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის მიმართულებით პროგრამული და ტექნოლოგიური გზების ძიებით, ნაცვლად მხოლოდ ადამიანურ ფაქტორზე ნდობისა;

- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების პროცესი ისე, რომ დაცული იყოს კვლევის ეთიკა მანამ, სანამ კვლევა განხორციელდება;
- ახალი პროგრამების ინიცირება და არსებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანა უნდა ეყრდნობოდეს საბაზრო კვლევის მონაცემებს;
- საჭიროა გაიზარდოს პასუხთა კოეფიციენტი სტუდენტების გამოკითხვებში და უზრუნველყავით, რომ რესპოდენტები წარმოადგენდნენ სტუდენტთა მრავალფეროვან კონტინგენტს ;
- ხელახლაა გადასახედი გამოკითხვები, რათა დარწმუნდეთ, რომ კითხვები შეესაბამება მიზანს და მიზანშეწონილია უზრუნველყოთ საკმარისი დეტალები, პროგრამის დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების მხარდასაჭერად;
- საჭიროა გაიზარდოს კურსდამთავრებულებთან კონტაქტი, წახალისდეს მათი ჩართულობა პროგრამის/ფაკულტეტის, აკადემიურ და სოციალურ აქტივობებში. საჭიროა შეირჩეს ინდივიდები, რომელთა ოფიციალური ჩართვა იქნება შესაძლებელი პროგრამის შემუშავებაში;
- საჭიროა ადგილობრივი დამსაქმებლების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და ახალ/არსებულ სასწავლო პროგრამებში.
- დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას პროგრამების განვითარებაში, მათი უკუკავშირის პროგრამებში ასახვით;
- ტრენინგის კომპონენტის დატვირთვის გასაზომად, შესამუშავებელი და განსახორციელებელია მკაფიო სისტემა, რომლის მეშვეობითაც მოხდება თითოეულ საგანში კრედიტების მინიჭება და შესაცვლელია კრედიტების ის რაოდენობა, რომელთა მინიჭებაც ამჟამად ხდება;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს , რომ უნივერსიტეტის ვებგვერდი მოიცავდეს ინდივიდუალური პროგრამების განახლებულ პრეზენტაციებს, ასევე ყველა პროგრამის, ისე რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის;
- საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს ელექტრონული სწავლების პროცესის მართვის სისტემა არა მხოლოდ სტუდენტებისთვის საგნების არჩევის ხელშესაწყობად, არამედ სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლადაც;
- საჭიროა გაიზარდოს ადამიანური რესურსების სტრატეგიული ამოცანებისთვის გამოყოფილი დაფინანსება, რათა შესაძლებელი გახდეს იმ სამიზნეების მიღწევა, რომელიც დაწესებულებამ საკუთარ თავს დაუწესა;
- საჭიროა შემუშავდეს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი სამუშაოს აღწერის შესაბამისად;
- პერსონალისთვის ფუნქციების გადანაწილება უნდა მოექცეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილების ქვეშ და მასზე გავლენა არ უნდა მოახდინოს კონკრეტული ინდივიდების წარსულმა და გამოცდილებამ;
- პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა გამოვლენის მკაფიო პროცესის გზით, საჭიროა გაიზარდოს პერსონალის განვითარების პრიორიტიზირება, პერსონალის განვითარებას დაეთმოს მეტი რესურსი და შეფასდეს პროფესიული განვითარების სესიების გავლენა;
- პერსონალის მუშაობის შეფასება უნდა განხორციელდეს შეთანხმებულად, ცენტრალიზებულად და გამჭვირვალედ. იგი უნდა იყოს უწყვეტი განვითარების საფუძველი, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობაში;
- საჭიროა განხორციელდეს შესრულებულ სამუშაოზე დამყარებული ანაზღაურების სისტემა;
- საჭიროა შემუშავდეს ეფექტური მექანიზმები პერსონალის სამუშაო დატვირთვის რეგულირებისა და სამართავად და იმაზე დასაკვირვებლად, თუ რა გავლენა აქვს სამუშაო დატვირთვის სქემას შესაბამისი პერსონალის პროდუქტიულობაზე;

- საჭიროა გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ხარისხის გაუმჯობესების პროცესში პროგრამის დონეზე, ისევე, როგორც სასწავლო მეთოდოლოგიებისა და საჩივრების პროცედურების კუთხით და სხვა;
- მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს სტუდენტების წარმომადგენლობა დაწესებულების ორგანოებში მათი როლის შესრულების გზით, რაც გულისხმობს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას და არა მხოლოდ სასწავლო განრიგის გარე აქტივობების მხარდაჭერას. დაწესებულებამ უნდა უნდა უზრუნველყოს ეფექტური ორმიმართულებიანი კომუნიკაცია სტუდენტებსა და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს შორის;
- სტრუქტურული და სისტემური გზით დაწესებულებამ უნდა სცადოს სტატუსშეჩერებული სტუდენტების დიდი რაოდენობის საკითხის მოგვარება, მხედველობაშია მისაღები ყველა ის საფრთხე, რომელსაც ეს სიტუაცია შეიძლება უკავშირდებოდეს;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეთიკის კოდექსის დებულებების, მათ შორის მისი დარღვევის შემთხვევებში სანქციების შესახებ, უკეთ გავრცელება სტუდენტებში;
- საჭიროა დაწესებულებამ განიხილოს სტუდენტებთან და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტის მიერ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ნაბისმიერი ცვლილება ან დამატება;
- საჭიროა უფრო მეტად გაიზარდოს დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაცია გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა და ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობის გაზრდით;
- საჭიროა განხორციელდეს სტუდენტთა ფინანსური დახმარების გამჭვირვალობის ამაღლებით, ამ მიზნებისათვის პროცედურებისა და პროცესების მკაფიო აღწერილობის შემუშავება;
- საჭიროა მოხდეს სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაცემის კრიტერიუმების უფრო მიზნობრივი შემუშავება, მათი აკადემიური მოსწრებისა და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით;
- საჭიროა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტების უკეთ ადაპტირებული გარემოთი და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა;
- საჭიროა მოხდეს სტუდენტთა ადმინისტრირებისა და დახმარების სერვისების სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია იმგვარად, რომ შეესაბამებოდნენ მათ დანიშნულებას და მათი სფეროს საჭიროებების უზრუნველყოფას;
- აკადემიური საზოგადოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუცილებელი სამუშაო სივრცეებით და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო რესურსებით, რათა განხორციელდეს ზემოთ დეტალურად აღწერილი სწავლებისა და სწავლის პროცესი;
- საჭიროა გაიზარდოს ამჟამად არსებული ზომები დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების დასახმარებლად;
- უზრუნველყავით უფრო თანმიმდევრული სტრატეგია კვლევის პრიორიტეტებისა და ფოკუსის განსაზღვრის მიზნით;
- საჭიროა გაფართოვდეს საკვლევი არეალი და კვლევის სამიზნე რეგიონული განვითარების ტენდენციებიდან ეროვნულ და გლობალურ დონემდე;
- პროგრამაზე მიღების დროს, უფრო კარგად არის შესამოწმებელი დოქტორანტების ცოდნის დონე უცხოურ ენაში;
- სადოქტორო პროგრამაში საჭიროა დაამატოთ მეტი უცხოენოვანი კომპონენტი;
- სადოქტორო პროგრამის სასწავლო განრიგში საჭიროა დაამატოთ კვლევის მეთოდოლოგიის საგანი;
- სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებად საჭიროა დანიშნოთ უცხო ენის კარგად მცოდნე, კვალიფიციური პროფესორები; თანახელმძღვანელებად საჭიროა მოიწვიოთ კვალიფიციური უცხოელი პროფესორები;

• გასაუმჯობესებელია დაწესებულების ის დებულებები, რომლებიც იცავს ეთიკასა და პატიოსნებას კვლევის შედეგებსა და მთლიანად სადოქტორო პროგრამაზე;
• აკადემიური პერსონალისთვის საჭიროა ჩატარდეს სპეციალურად მათზე მორგებული ტრენინგები დოქტორანტების ხელმძღვანელობის კუთხით;
• კვლევისათვის საჭიროა შემუშავდეს ნათელი ხედვა, პრიორიტეტები და სტრატეგიული გეგმა;
• გასაუმჯობესებელია პერსონალის მიერ ინგლისური ენის ცოდნა მათთვის უფასო კურსების უზრუნველყოფით;
• საჭიროა გადაიხედოს საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებები და საჭიროა შეარჩიოთ აქტიური პარტნიორები;
• საჭიროა გაზარდოთ და გააუმჯობესოთ ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენება დაწესებულების საქმიანობაში;
• საჭიროა გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო მობილობა სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე, ასევე დოქტორანტურის შემდგომ ეტაპზე, აკადემიური და სამეცნიერი პერსონალისთვის (სტაჟირება საზღვარგარეთ, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა შესაძლებლობები); აკადემიური პერსონალი უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს სასწავლო მობილობის ხელშეწყობაში;
• საჭიროა მოიწვიოთ უფრო მეტი უცხოელი პედაგოგი პროგრამის განსახორციელებლად;
• საჭიროა წაახალისოთ აკადემიური პერსონალი, რომ მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალურ/ჯგუფურ საგრანტო კონკურსებში;
• საჭიროა შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის უფრო მყარი სტრატეგია;
• საჭიროა გაიზარდოს დაწესებულების ჩართულობა გამოყენებითი კვლევების პროექტებში, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;
• ყველა საკლასო ოთახი საჭიროა აღჭურვოს თეთრი დაფებით, პროექტორებითა და კონდიცირებით;
• უზრუნველყავით, სანიტარული წერტილების განთავსება ყველა სართულზე;
• საჭიროა ხელახლა შეფასდეს ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცეები, დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა თანამშრომელს აქვს საკმარისი, უსაფრთხო, კომფორტული და პროდუქტიული სამუშაო გარემო;
• უზრუნველყავით, რომ დაწესებულების შენობები სრულად იყოს ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, არამხოლოდ ყველა შესასვლელთან და სართულზე პანდუსებისა და ლიფტების არსებობით, არამედ სმენა და მხედველობა დაქვეითებული პირებისთვის შესაბამისი სასწავლო რესურსების მიწოდებით;
• უნივერსიტეტის შენობების შეფასება საჭიროა მოხდეს მთლიანად აკადემიური საზოგადოების მიერ. ამისათვის უნდა გამოიყენოთ ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ გაუმჯობესებისათვის საკმარის ინფორმაციის მიღებას.
• უზრუნველყავით საკმარისი სივრცეები, რომლებიც დააკმაყოფილებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროებებს (ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცეები და სხვა);
• ბიბლიოთეკის სამუშაო საათები უნდა იყოს მუდმივად სტაბილური და გამოსაჩენ ადგილას, საჯარო ლოკაციებზე განთავსებული;
• საჭიროა დაზუსტდეს და დარეგულირდეს ბიბლიოთეკის პოლიტიკა, რათა დაკონკრეტდეს წიგნის გაცემის პერიოდი თითოეული კატეგორიის მასალისა და საზოგადოების წევრებისათვის. ასევე, საჭიროა დაწესდეს ნათლად განსაზღვრული ჯარიმა ვადის გადაცილების შემთხვევებისთვის, ასევე შემუშავდეს მკაფიო გზამკვლევი ბიბლიოთეკის განახლების პოლიტიკისა და მასალების დაბრუნებისთვის; ყოველივე ეს უნდა განთავსდეს უნივერსიტეტსი ხელმისაწვდომ ადგილებზე ;

- უზრუნველყავით რეაგირების ეფექტური მექანიზმი ბიბლიოთეკაში დაგვიანებით წარმოდგენილ სასწავლო რესურსებზე;
- დანერგეთ, შემოიღეთ, აამოქმედეთ და გამოაქვეყნეთ ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, რათა იქ შენარჩუნდეს ეფექტური მეცადინეობისა და კვლევისათვის საჭირო გარემო;
- საჭიროა დაინერგოს უსაფრთხოების ეფექტური სისტემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბიბლიოთეკიდან მასალების დაკარგვა;
- საჭიროა ბიბლიოთეკაში აღმოიფხვრას საქაღალდო სისტემა და განახლდეს ბიბლიოთეკის ელექტრონული მართვის სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს გაცემული და დაბრუნებული მასალების ეფექტური აღრიცხვა, ასევე ბიბლიოთეკაში ადგილზე არსებული ფიზიკური რესურსების ზუსტი ინვენტარიზაცია;
- უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი საკმარისად კვალიფიციური უნდა იყოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ფლობდეს შესაბამის უნარებს, რათა შეძლოს ბიბლიოთეკის ელექტრონულ მართვის სისტემაზე მუშაობა, ასევე სტუდენტებსა და პერსონალს გაუწიოს შესაბამისი დახმარება ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკების გამოყენების კუთხით;
- უზრუნველყავით, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჩაუტარდეთ ტრენინგი ელექტრონული სასწავლო რესურსების, ჟურნალებისა და პუბლიკაციების გამოყენებაში.
- უკეთესად შეუწყვეთ ხელი ელექტრონული სასწავლო რესურსების მოხმარებას საგანმანათლებლო პროცესის დროს, რათა გაფართოვდეს სტუდენტების ცოდნა;
- გააუმჯობესეთ უსადენო ქსელური დაფარვა უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- უზრუნველყავით სტუდენტთა დოკუმენტების ეფექტური უსაფრთხოება; ცენტრალური ფაილები, რომლებშიც გაერთიანებულია სტუდენტთა ჩარიცხვისა და მათი აკადემიური მოსწრების დოკუმენტები, შენახული უნდა იყოს უსაფრთხო ადგილას, უნდა არსებობდეს მათი სარეზერვო ფაილები, რომლებიც სხვა, ასევე უსაფრთხო ლოკაციაზე იქნება შენახული, უმჯობესია, თუკი ეს იქნება სხვა შენობაში;
- განვითარდეს დაწესებულების ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია, რათა უზრუნველყოფილი იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებით მოთხოვნილი ინფორმაციის განთავსება და მიწოდება;

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციით, რომელიც აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტების ხელმძღვანელობის მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას გულისხმობდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა შეფასებით, კვლევითი აქტივობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტების ხელმძღვანელობის მიმართულებით ტრენინგები. ექსპერტთა განმარტებით, შესაძლოა, აკადემიური პერსონალი სწავლების კუთხით იყოს წარმატებული, თუმცა, მათ, როგორც დოქტორანტის ხელმძღვანელებს, სხვა უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ გამომუშავებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების IT ინფრასტრუქტურით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებას IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით არაერთი ღონისძიება ჰქონდა გასატარებელი, მისი განმარტებით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მმართველობითი და საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობა, ქმედითობა და ხელმისაწვდომობა. ასევე გასაუმჯობესებელია სტუდენტთა მართვის ელექტრონული და შეფასების ცენტრალიზებული სისტემები. ასევე პლატფორმა, რომელიც

ცენტრალურად დაიტევს ყველა საგანმანათლებლო რესურსს და რომელიც დაკავშირებული იქნება დაწესებულების სასწავლო პროგრამებთან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია შიდა ადმინისტრაციის ელექტრონული და ბიბლიოთეკის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემების უზრუნველყოფა.

დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაწეული სამუშაოსთვის. მისი განცხადებით, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა უმეტესობას. რაც შეეხება IT რისკების მენეჯმენტს, დაწესებულების რექტორის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა დაწესებულების ბიზნეს რისკების სტრატეგია, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი მონაცემთა დაცვის პოლიტიკა. უნივერსიტეტს გააჩნია ერთი მძლავრი სერვერი და ორი მუშა სადგური რეზერვირების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახებოდა ცალკე მყარ დისკზე და ე.წ. გარე დისკ მმართველზე და დამატებით, დაწესებულება უზრუნველყოფდა ინფორმაციის დაცვას საქაღალდე რეზერვირების მეშვეობითაც.

ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიასთან გამოთქმულ რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ 2018 წლის დასაწყისში ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების გამო, ტექნიკურად ვერ მოხერხდა ქართული და ინგლისური ვერსიის ერთ ვებგვერდად ინტეგრირება. დაწესებულების რექტორის განცხადებით, ინგლისურენოვანი ვებგვერდი ნამდვილად არ იყო ბოლომდე ინფორმატიული, თუმცა ცენტრის სტანდარტების შესაბამისი მინიმალური ინფორმაცია მასზე იყო განთავსებული.

რაც შეეხება დაწესებულების სრული ტერიტორიის უსადენო ინტერნეტით უზრუნველყოფის საკითხს, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ამჟამად უსადენო ქსელი ფარავდა ყველა ადგილს, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მისი გამოყენების საჭიროება შეიძლება ჰქონოდა : ბიბლიოთეკას, სტუდენტთა თავისუფალ სივრცეს, CreaLab სათავსოს, საკონფერენციო დარბაზსა და ეზოს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების გეგმით პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, კერძო უნივერსიტეტების ასოციაციის წევრობის სტატუსის მოპოვების შედეგად, დაწესებულება უახლოეს პერიოდში შეიძენდა და დანერგავდა პლაგიატის აღმოჩენის პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომებითა და მათ მიერ სამეცნიერო ბაზების მოხმარების სტატისტიკით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრების განმარტებით, ვიზიტისას ისინი გაეცნენ სადისერტაციო ნაშრომებს, რის შედეგადაც დადასტურდებოდა კვლევითი აქტივობა. თუმცა, კვლევითი მეთოდოლოგია არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი, შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სადოქტორო პროგრამის სასწავლო განრიგში კვლევის მეთოდოლოგიის საგანის დამატებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ექსპერტთა განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია კვლევითი ბაზების მოხმარებასთან და ასევე, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით ეხებოდა არა მხოლოდ სადოქტორო საფეხურის, არამედ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებსაც. ამასთანავე, აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის შედეგად მათ გასცეს რეკომენდაცია პერსონალის მიერ

ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მათთვის უფასო კურსების უზრუნველყოფით.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების კვლევით აქტივობასთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების განმარტებით, დაწესებულება ნამდვილად ახორციელებდა კვლევით აქტივობას, თუმცა, მნიშვნელოვანი იყო აღინიშნულიყო, რომ დაწესებულებაში საერთაშორისო პროექტები მცირე სახით იყო წარმოდგენილი. ამასთანავე, დაწესებულება უმეტესად ახორციელებდა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ კვლევებს.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 16:33 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს საავტორიზაციო მასალების, მათ შორის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ გამოთქმული შეფასებების საფუძველზე მიიჩნია, რომ ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების 7.3 კომპონენტი - საინფორმაციო რესურსები, მიზანშეწონილია შეფასებულიყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია", ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში" სტადნარტებთან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მე-6 სტანდარტის კვლევა, განვითარება ან/სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 6.3 კომპონენტი - კვლევითი საქმიანობის შეფასება მიზანშეწონილია იყოს შეფასებული, როგორც „მეტწილად შესაბამისობაში", ნაცვლად „სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან".

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212677094) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ უნივერსიტეტში მონიტორინგი განხორციელდეს 2 წლის ვადაში.

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კევინ კენდალმა და ადგილობრივმა ექსპერტებმა ნათია ანდღულაძემ, ირაკლი ხვთისიაშვილმა და ეკატერინე ბაკარაძემ. ექსპერტთა რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ საკითხებს

- უნდა მოხდეს ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის დეტალური გეგმის შემუშავება და მისი ინტეგრირება სამწლიანში სამოქმედო გეგმა ;
- წარმატებული ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა ;
- AEMS-ის სისტემაში აუცილებელი ფუნქციების დამატების მიზნით საჭიროა დეტალური გეგმისა და ვადების შემუშავება;
- საჭიროა განხორციელდეს თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების დანერგვა კვლევის სისტემების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- საჭიროა მოხდეს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მკაფიო მექანიზმების შემუშავება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა;
- საჭიროა მოხდეს სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით;
- საჭიროა განხორციელდეს დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება არსებული შემოთავაზებების ეფექტურად განხორციელების მიზნით;
- საჭიროა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის უფრო ხშირი კვლევა და მისი ადაპტირება, ბაზრის ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით. მაგ.: პროგრამებში პრაქტიკაზე მეტად ორიენტირებული და განახლებული სასწავლო კურსების დამატება;
- სიზუსტის უზრუნველსაყოფად საჭიროა ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგების განახლება;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში საჭიროა პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა, რათა კურსდამთავრებული ეფექტურად მომზადდეს დასაქმებისათვის;
- სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის საჭიროა მეთოდოლოგიის შემუშავება, ინდივიდუალური პროგრამებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, ასევე მატერიალირ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;

- უცხო ენის ცოდნა საჭიროა განისაზღვროს თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რათა სტუდენტებს დაბრკოლებების გარეშე შეეძლოთ კვლევის ჩატარება;
- ლექციების ფარგლებში, რეგიონალური კერძო და საჯარო სექტორიდან საჭიროა პროფესიონალების მოწვევა, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით;
- საჭიროა მოხდეს ბიუჯეტის ზრდის განხილვა, პერსონალისთვის სრულყოფილი ტრენინგების ჩატარების მიზნით;
- საჭიროა AEMS -ის ყველა ფუნქციის ამოქმედება და სტუდენტების სრული ჩართულობა სისტემის ფუქნციონირებაში;
- საჭიროა დამოუკიდებელი სტუდენტური სერვის-ცენტრების შექმნა, რომელიც მხარს დაუჭერს სტუდენტურ აქტივობებს, ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას და გასცემს საჭირო რჩევებს;
- საჭიროა სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში, მაგალითად, გაცვლით პროგრამებში უფრო მეტად ჩართულობის ხელშეწყობა;
- საჭიროა კვლევის ნაყოფიერებისა და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების ზრდა;
- საუნივერსიტეტო პუბლიკაციებისთვისა და სხვა საგამავრცელებლო საქმიანობებისათვის საჭიროა სტანდარტების დაწესება, რათა არ გავრცელდეს ისეთი სამეცნიერო ნამუშევარი, რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ აკადემიურ სტანდარტებს;
- საჭიროა იმგვარი შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური საქმიანობის მაღალ სტანდარტებს;
- საჭიროა განხორციელდეს საუნივერსიტეტო კვლევის მხარდამჭერი საქმიანობის დაკავშირება კვლევის განვითარების მკაფიოდ განსაზღვრულ გამოწვევებთან;
- საჭიროა ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს კონკურენცია გაუწიოს სხვა უნივერსიტეტებს ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვის პროცესში;
- საჭიროა უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობითი საქმიანობის მის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და განვითარების საჭიროებებთან დაკავშირება;
- საჭიროა ცალკეული განყოფილებების კვლევის შედეგების შიდა მიმოხილვის სისტემის ჩამოყალიბება კვლევის შედეგების გაუმჯობესების მიზნით ;
- საჭიროა უნივერსიტეტის პუბლიკაციების ხარისხიანი და ეთიკური კვლევის მკაფიო ინდიკატორების ჩამოყალიბება;
- საუნივერსიტეტო კვლევის შესახებ საჭიროა ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- საჭიროა შენობების რეაბილიტაცია სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად;
- საჭიროა, რომ ყველა შენობას ჰქონდეს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო სისტემები;
- საჭიროა, რომ ყველა ნაგებობა იყოს ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- საჭიროა , რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გააჩნდეთ საკმარისი კომპეტენცია ინგლისურ ენაში, რათა ეფექტური დახმარება გაუწიონ სტუდენტებს ელექტრონულ ბაზაში;
- საჭიროა მოხდეს ბიბლიოთეკის საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფა თანამშრომლებისა და სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;

- საჭიროა რეგულაციების შემუშავება მოსწავლეების მიერ არასათანადო ან სახიფათო ვებ-გვერდების ხელმისაწვდომობის შესაზღუდად;
- საჭიროა სწავლის მართვის სისტემის ფუნქციონირების გაზრდა განათლების პროცესის ეფექტურობის ზრდის უზრუნველსაყოფად;
- უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების მიზნით, საჭიროა მოიძიოთ თანხები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად;

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კვლევითი კომპონენტის საკითხით. ექსპერტთა განცხადებით, კვლევითი მიმართულებით დაწესებულებაში არაერთი ცვლილება იყო განსახორციელებელი. მათი განმარტებით, სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მათ ვერ შეძლეს საკუთარი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიის, ზოგადად, თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბება. ამასთანავე, დაცული დისერტაციების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები უმეტესწილად იყენებენ ძველ ლიტერატურას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული საკითხების გაუმჯობესებისთვის მკაფიო ხედვა. ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესების მიმართულებით დაწესებულების გეგმით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესებასთან მიმართებით. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტები შეხვდნენ მხოლოდ პირველკურსელ დოქტორანტებს. რაც შეეხება ძველი ლიტერატურის გამოყენებას, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ექსპერტები უმეტესად გაეცნენ აგრარული მიმართულების სადისერტაციო ნაშრომებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულებით ბოლო დისერტაცია დაცული იყო 2012 წელს, შესაბამისად, გამოყენებული ლიტერატურა, შესაძლოა, ყოფილიყო ძველი. თუმცა, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას და სამომავლოდ უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომებში განახლებული ლიტერატურის გამოყენებას.

რაც შეეხება დაწესებულების გამოკვეთილ კვლევით მიმართულებას, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, დაწესებულებას კვლევით კომპონენტში აქვს გამოკვეთილი აგრარული მიმართულება. ამ დარგში ხორციელდება რამდენიმე პროექტი და სამომავალოდ დაგეგილია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ასევე, როგორც საერთაშორისო, ისევე, ადგილობრივი პროექტების განხორციელება. ამასთანავე, დაგეგმილია საქართველოს და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტის კვლევითი კომპონენტის განხილვისას, უმნიშვნელოვანესია ხაზი გაესვას, რომ დაწესებულებამ აგრარული მეცნიერება მთავარ კვლევით მიმართულებად განსაზღვრა წელიწადნახევრის წინ და ამ პერიოდის განმავლობაში უკვე არაერთი პროექტისა და აქტივობის განხორციელება მოასწრო, ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ დაწესებულებამ შეაჩერა რამდენიმე სადოქტორო პროგრამა და სწორედ ის მიმართულებები დატოვა, რომლის განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსი გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულებაში ამჟამად განხორციელებული სადოქტორო პროგრამებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ამჟამად დაწესებულება ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს შემდეგი მიმართულებით: აგრარული მეცნიერება, ეკონომიკა, ტექნოლოგია და გამოცემათმცოდნეობა, ისტორია.

საბჭოს წევრის, რიმა ბერიაშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულება „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ გრანტის ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებდა კვების ტექნოლოგიების მიმართულებით.

დაწესებულების შშმ პირებისთვის ადაპტირებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებას სამუშაო ჰქონდა ჩასატარებელი, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულების პირველ სართულზე შშმ პირებისთის ინფრასტრუქტურა ყველა შესაბამისი სტანდარტის მიხედვით არის მოწყობილი.

ექსპერტთა განცხადებით, დაწესებულებას სახელმწიფოს მიმართ არაერთი მიმართვა ჰქონდა გაკეთებული შენობების რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად და ვიზიტისას მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ შესაბამის წერილობით დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთით, მისი განცხადებით, ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა არ უნდა იყოს 22 საათზე მეტი, რაც, მისი აზრით, საკმაოდ ბევრია.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღმატებოდეს არა მხოლოდ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც საქმიანობს აღნიშნული აკადემიური პერსონალი.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:55 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებსა და მათ შეფასებებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 674-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 231187168) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 674-ით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ უნივერსიტეტში დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 2 წლის ვადაში.

სხდომის დატოვება მოუწია საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ. ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნუგზარ სხირტლაძემ.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი ექსპერტები ქეთევან ბოტკოველი, მარინა გელეევანიშვილი და ხათუნა წერეთელი.

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ცალკე დოკუმენტად შექმნას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა";
- სასურველია, დაწესებულებამ პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში არ დაამტკიცოს ის ახალი პროგრამების სახით. საკმარისია დადგენილი წესით გამოსცეს აქტი პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში;
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროფესიული განათლების პროგრამების კატალოგში ასახოს ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, მიღწეული წარმატებების, პარტნიორი ორგანიზაციების და პრაქტიკის ობიექტების შესახებ;
- იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს თავისი მიღწევების მონიტორინგი პრაქტიკის პერიოდში, პროფესიულ მასწავლებელს მიეცა რეკომენდაცია თავად სტუდენტებს აწარმოებინონ დღიურები, სადაც მოხდება სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა და თვითშეფასება;
- პროფესიულ მასწავლებლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს მიეცათ რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასთან, მათ ვალიდურობასთან დაკავშირებით;
- მოდულური პროგრამების შეფასების სისტემასთან ერთად კატალოგში ჩარჩენილია საგნობრივი პროგრამების შეფასების 100 ქულიანი სისტემა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ამ ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაემატოს დანართი ან ჩანაწერი ინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც უნდა დადასტურდეს პროფესიული მასწავლებლის, სტუდენტის/სტუდენტის მშობლის/მეურვის ხელმოწერით;

• დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დებულებაში ასახოს გარკვეული პროცედურა არასრულწლოვანი სტუდენტების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხებთან დაკავშირებით და გამოასწორონ არსებული მდგომარეობა;

• არსებული დოკუმენტების, კითხვარების გაცნობის შედეგად უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრს მიეცა რეკომენდაცია, ყოველი მოდულის დასრულების შემდეგომ ჩაატაროს სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვები და მათი ანალიზის საფუძველზე იმსჯელოს მოდულებში შესატან ცვლილებებზე საჭიროების შემთხვევაში;

• დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო ერთწლიანი გეგმის უფრო დეტალურად გაწერასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს აქტივობების თვეების მიხედვით, შესრულების კრიტერიუმების და შედეგების მიხედვით გაწერას;

• დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამომავლოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებული იქნას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმების დამოუკიდებელი დოკუმენტი;

• დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულებებში გაჩნდეს ჩანაწერი ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობის და შვებულების მიცემის წესების შესახებ და პროფესიული მასწავლებლების ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესთან დაკავშირებით, კერძოდ: ჩანაწერში არ არის დაკონკრეტებული თუ რა ოდენობით, ან რა ფორმით მიეცემა თანამშრომელს ზეგანაკვეთური ანაზღაურება;

• ვიზიტის პერიოდში გავეცანით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშს, რომლის თანახმად პროფესიული მასწავლებლები ითხოვენ ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მასწავლებელთა ტრენინგებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

• უნივერსიტეტს მხოლოდ 2 დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი პროფესიული პროგრამების სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებით. რის გამოც დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია უფრო მეტ დაწესებულებასთან გააფორმონ მემორანდუმი, რათა საჭიროების შემთხვევაში მარტივად შეძლონ სტუდენტების მობილობის პროცესის ორგანიზება და ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა. საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა ექსპერტთა მიერ პირველი სტანდარტის უარყოფითად შეფასების მიზეზით.

ექსპერტთა განმარტებით, პირველ სტანდარტში უარყოფითი შეფასება გამოიწვია სტანდარტის პირველ ქვეკომპონენტში უარყოფითმა შეფასებამ, კერძოდ, რიგ შემთხვევაში, დაწესებულებას არასრულწლოვნებთან კანონიერი წარმომადგენლების გარეშე ჰქონდა ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი. დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ ეს საკითხი მოგვარებულია ამ ეტაპზე დაწესებულებაში. ექსპერტების მხრიდან საბჭოს მიმართ გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებაში მიზანშეწონილია პროფესიული პროგრამების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 41 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 231187168) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 40-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი